# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 აპრილი 2005 №82 (2405) ფასი 50 თეთრი




## ბრინჯაოს დებიუტი

გუშინ ვარნაში დასრულებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში წინა დღით ლუკა კურტანიძის მიერ მოპოვებულ ოქროს მედალს ამ ასპარეზობის დებიუტანტმა ბესიკ გუჩაშვილმა (55კგ) ბრინჯაოს ჯილდო შემატა.



## ფიფა განაჩენს 29-ში გამოაჩენს

4



## რა მოხდა სან სიროზე?

ინტერი vs მილანი თამაშის შემდეგ

6-7

# ნახევარფინალში

## მილანი — პსვ ეინდჰოვენი; ჩელსი — ლივერპული




# მერაბ ჟორდანიას ხვალ გაასაჩივრებენ



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ტურინი. „სტადიო დელე ალპი". 55 464 მაყურებელი

## იუვენტუსი 0:0 ლივერპული (1:2)

ბუფონი, ტურამი, მონტერო (პესოტო 83), კანავარო, კამორანეზი (აპია 84), ემერსონი, ოლივერა (ზალაიეტა 46), ძამბროტა, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, ტრაორე, ნუნიესი (შმიცერი 58), ხაბი ალონსო, ბიშკანი, რიისე, ლუის გარსია (ლე ტალეკი 85), ბაროში (ჯ. სისე 76)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ხაბი ალონსო, მონტერო, იბრაჰიმოვიჩი, ძამბროტა, ემერსონი, ფინანი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)


AFP ტურინიდან

**„ლივერპული"** ლიგის ნახევარფინალშია, სადაც „ჩელსის" შეხვდება და ეს ისტორიაში პირველი ინგლისური ნახევარფინალი იქნება. „იუვენტუსს" კი შეუძლია — და სხვა ვარიანტიც აღარ დარჩენია — მთელი ძალა სერია A-სკენ მიმართოს. მით უმეტეს, რომ ეს ძალა „იუვეს" მაინცდამაინც ბევრი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, ამ მატჩმა ასე გამოაჩინა — ტურინელებს, რომლებსაც მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, ფაქტობრივად, ერთადერთი სახიფათო მომენტი ჰქონდათ: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჯიმი ტრაორე უხერხულად დაუხვდა და პირდაპირ ფაბიო კანავაროს მიუგორა. იტალიელი მცველის დარტყმული ძელმა აისხლიტა, დამატებულზე კი ირჟი დუდეკმა ივარგა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ამ ეპიზოდში კანავარომ შეიკუნტრუშა კიდეც, გოლიაო, მაგრამ კარგად გამოჩნდა, რომ მეკარემ ბურთი ნაღდად ხაზზე მოიგერია და არა ხაზს შიგნიდან. ტურინელთა იერიშებზე კი ზლატან იბრაჰიმოვიჩის ერთი ადრეული კარგი მომენტის გარდა სათქმელი მეტიც არაფერია.

დიდებული მომენტი, მაგრამ მხოლოდ ერთი, „ლივერპულსაც" ჰქონდა: მილან ბაროშმა, გამოცდილი ფეხბურთელი დამწყებს რომ დაიბრიყვებს, ისე ჩამოიშორა პაოლო მონტერო, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონთან პირისპირ დარჩენილმა კარს ოდნავ ააცილა.

1:0-ის დიდოსტატი „იუვენტუსი" არ ჩქარობდა, რაც საერთოდ ახასიათებს ამ გუნდს და გვგონია, რომც სდომებოდა, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ტურინელთა უკანა ხაზში აშკარად შეინიშნებოდა სუსტი ადგილები — უპირველესად მონტეროს ვგულისხმობთ — ინგლისელებს კი ბაროში და ლუის გარსია ჰყავდათ, ის ფეხბურთელები, რომელთა მიმართაც ყურადღების მოდუნება დაუშვებელი იყო. ამავე დროს, მასპინძელთა მოიერიშეებიც ვერ ბრწყინავდნენ, დელ პიერო და ნედვედი აქა-იქ თუ გაკრთებოდნენ კადრში.

„ლივერპული" კი დიდი სიფრთხილით იცავდა თავს, მაგრამ ყრუ დაცვაშიც არ ჩამჯდარა და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბაროში და ლუის გარსია მეტოქეს მთელი ძალით შეტევაში ჩართვის საშუალებას არ აძლევდნენ.

ერთი სიტყვით, „ლივერპულმა" სწორი ფეხბურთი ითამაშა, შეგვიძლია ვთქვათ, იტალიურ ყაიდაზეც კი, ხოლო „იუვენტუსმა" ის ითამაშა, რაც შეეძლო. შედეგად, ნახევარფინალშიც ის გუნდი გავიდა, უფრო მეტად რომ იმსახურებდა გასვლას.

და ერთიც: „ეიზელის" ტრაგედიის ხსენებას გვერდს ვერ ავუვლით, თუნდაც იმიტომ, რომ იტალიელებს ტრიბუნებზე ასეთი ტრანსპარანტები გამოეფინათ: „ინგლისელი ცხოველები" და „თქმა იოლია, მკვლელების პატიება კი ძნელი".

**ირაკლი ნინიძე**

ეინდჰოვენი. „ფილიპსი". 34 000 მაყურებელი

## პსვ 1:1დ.დ.(პენ.4:2) ლიონი (1:1)

0:1 ვილტორდი (10), 1:1 ალექსი (50)

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბისლი 57), ფარფანი (რობერტი 85)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი (ნილმარი 95), გოვუ (ბენ აფრა 88)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გაფრთხილება: აბიდალი, დიარა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)


ჰოლანდიელთა ნახევარფინალისტობა მეკარე გომესის დამსახურებაა

**„ფილიპსის"** სტადიონზე ძალიან დაძაბული და დრამატული მატჩი გაიმართა. პსვ-სა და „ლიონს" უფრო ძლიერის გამოსავლენად 120 წუთი არ ეყოთ, რადგანაც, პირველი შეხვედრის დარად, თითო გოლი გაცვალეს და საბოლოოდ საქმე პენალტებამდე მივიდა, სადაც საკუთარი ქომაგების მიერ შეგულიანებულ მასპინძლებს უფრო გაუმართლათ.

სტუმრებმა თავიანთი პროგრამა-მინიმუმი მე-10 წუთზევე შეასრულეს, როდესაც სილვენ ვილტორდი კარგად დაუსხლტა მეტოქეებს და გომესსაც შანსი არ დაუტოვა. „ლიონი" ყრუ დაცვაში არ ჩამდგარა, მაგრამ მაინც უფრო ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა, რისთვისაც 50-ე წუთზე დაისაჯა — ფრანგთა მცველმა ერიკ აბიდალმა თავით დაუგდო ბურთი ალექსს, რომელსაც დაახლოებით თერთმეტი მეტრიდან გოლის გატანა არ გასჭირვებია.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს თითქმის თანაბარი ოდენობის მომენტი ჰქონდა, მაგრამ თამაშიდან გატანა არ მოხერხდა. მასპინძლებმა 5-დან 4 პენალტი გაიტანეს, ერთადერთი უშედეგო დარტყმა დამარკუს ბისლიმ შეასრულა. სტუმართაგან კი ესიენი და აბიდალი შეცდნენ.

პსვ 17 წლის შემდეგ პირველად გავიდა ლიგის ნახევარფინალში. მაშინ ჰოლანდიელები ტურნირის გამარჯვებულებიც გახდნენ და გუნდს მაშინაც გუს ჰიდინკი წვრთნიდა...

**გიორგი ძაძამიძე**

## ნახევარფინალი

26 აპრილი — 4 მაისი
**ჩელსი — ლივერპული**
27 აპრილი — 3 მაისი
**მილანი — პსვ ეინდჰოვენი**

### ინგლისი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
სუინდონი 0:0 ბრისტოლი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXIII ტური
ნირედიჰაზა 2:0 ფერენცვაროში
შოპრონი 2:2 უიპეშტი
ვაშაში 0:6 ტატაბანია
ვიდეოტონი 1:1 ზალაეგერსეგი
ბეკეშჩაბა 1:1 დიორ ეტო
დიოშდიორი 5:1 ჰონვედი
კაპოშვარი 0:0 დებრეცენი
მტკ 1:1 პეჩი

### პოლონეთი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
ოდრა 0:1 კრაკოვია

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები
*გურნიკი* 2:1დ.დ.(1:0) ლეგია (0:1)
*კორონა* 2:1 კოშარავა (2:2)
*პოგონი* 1:0 პოდბესკიდზე (1:1)
*პლოცკი* 3:1 ბელხატოვი (1:0)

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული
მატჩები
ჰართსი 1:2 ჰიბერნიანი
ლივინგსტონი 0:4 სელტიკი

### გერმანია
ჩრდილოეთ
რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ჰერტა (მ) 6:0 არმინია (მ)

### ბელგია
მეორე კლასი
გადადებული მატჩი
ეუპენი 1:1 სენტ ჟილი

თასის
მეოთხედფინალი
*ბეერსხოტი* 3:1დ.დ.(1:1) გენკი

### ნორვეგია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ჰიოდი 0:1 მანდალი

### ჰოლანდია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
დენ ბოსხი 4:1 ფეიენოორდი

### დანია
სუპერლიგა
გადადებული მატჩი
რანდერსი 2:1 ნორდსიელანდი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრიონსჰიოი 2:4 აკადემისკი

### შვეიცარია
სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ძსამაძსი 0:1 შაფჰაუზენი

### საბერძნეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
არისი 1:2 ძსანთი

### სლოვაკეთი
პირველი ლიგა. XXIII ტური
ტრენჩინი 0:1 ინტერი
დუბნიცა 1:0 ბანსკა ბისტრიცა
პუხოვი 1:1 პეტრჟალკა

### იაპონია
ჯეი ლიგა. IV ტური
გამბა — ნიიგატა 1:1; ივატა — იჩიჰარა 1:3; კაშიმა — ომია 2:0; კაშივა — იოკოჰამა 0:1; ნაგოია — ტოკიო 1:0; ოიტა — სურეზო 1:2; ვერდი — ჰიროშიმა 1:4; ურავა — შიმიცუ 1:1; კობე — კავასაკი 1:6





შალვა შავგულიძემ მერაბ ჟორდანიას წინასწარი პატიმრობა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა

# მერაბ ჟორდანიას ხვალ გაასაჩივრებენ

*ფეხბურთის ფედერაციის ან ყოფილი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას საქმე ხვალ თბილისის საოლქო სასამართლოშიც გაირჩევა.*

*გეხსომებათ, მერაბ ჟორდანიას რაიონულმა სასამართლომ ახლახან სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. ბრალდებულის მხარემ კი საოლქოში სწორედ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა.*

*მოგეხსენებათ, ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ფინანსურმა პოლიციამ წინა ხუთშაბათს დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვა-მითვისების ბრალდებით დააპატიმრა.*

— პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება, ვერ გეტყვით, მერაბ ჟორდანიას საქმის გამოძიება როგორ გაგრძელდება, თუმც... რასაც ბრალდების მხარე იტყვის, იმას გაიმეორებს პროკურორიც და სასამართლო, ფაქტობრივად, ბრალდების მხარეს დაიჭერს. სამწუხაროდ, ბოლო დროს საქართველოში ასეთი ტენდენციაა. ისე კი, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და პარასკევს პროცესი უკვე საოლქო სასამართლოში შედგება — გვითხრა გუშინ მერაბ ჟორდანიას ადვოკატმა შალვა შავგულიძემ.

**— ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრებმა სასამართლოს უკვე მიმართეს შუამდგომლობით, რომ ჟორდანია მათი თავდებით პატიმრობიდან გაათავისუფლონ... სასამართლოსთვის რამდენად მნიშვნელოვანი იქნება შუამდგომლობა?**

— წინასწარ ვერ გეტყვით, სასამართლო როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუმც ფედერაციის აღმასკომის შუამდგომლობა ხელთ გვაქვს და მას საოლქო სასამართლოს პროცესზე აუცილებლად წარვადგენთ.

**— როგორ ფიქრობთ, მერაბ ჟორდანიას დააპატიმრებენ?**

— რა გითხრათ... ჯერჯერობით მერაბ ჟორდანია სამთვიან წინასწარ პატიმრობაშია, პარასკევს კი მისი საქმის საოლქო სასამართლოში განიხილება. ვნახოთ, დაცვის მხარე ყველაფერს გააკეთებს მერაბ ჟორდანიას გასათავისუფლებლად.

**— რისი იმედი გაქვთ?**

— თუნდაც იმ ფაქტის, რომ დაპატიმრების წინა დღეს მერაბ ჟორდანია ფინანსურ პოლიციაში თავად გამოცხადდა და „დინამოს" საქმესთან დაკავშირებით გამომძიებელი ფინანსურ ამნისტიაზე ესაუბრა. ისინი, ფაქტობრივად, შეთანხმდნენ, რომ ფინანსურ ამნისტიას ჟორდანია გამოიყენებდა და ამის უფლებას კანონი იძლეოდა. თუმც მეორე დღეს ჟორდანია მაინც დააპატიმრეს. მოკლედ, სასამართლოსთან სადავო ჩვენც გვაქვს და, ვიმედოვნებ, საქმე მერაბ ჟორდანიას სასარგებლოდ დამთავრდება.

**ქობა ინასარიძე**

# ცხელ ოქროს ცივი ევრო ჯობია

## შოთა არველაძე: ჩემი მეტრი ცნობილი მწვრთნელია

*32 წლის შოთა არველაძე თავისებურ გზაგასაყარზე დგას — „რეინჯერსთან" სეზონის ბოლოს კონტრაქტი ეწურება და სხვა გუნდში უნდა გადავიდეს, ხოლო ეროვნულ ნაკრებში, შესაძლოა, აღარც ითამაშოს...*



26 მარტს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი ისტუმრა და მალხაზ ასათიანის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მეტოქემ არველაძის შეცდომით ისარგებლა და გამთანაბრებელი შეაგდო. გულშემატკივრებმა შოთას ქოქოლა დააყარეს, ალენ ჟირესმა კი ის თურქეთთან მომდევნო შეხვედრის განაცხადშიც არ შეიყვანა.

„ასეთი რამ პირველად შემემთხვა და ამის შემდეგ ღრმად არ დავფიქრებულვარ იმაზე, ნაკრებში კვლავაც ვითამაშო თუ არა" — გვითხრა გუშინ არველაძემ.

ამასობაში კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ნელ-ნელა ახლოვდება და, ვინძლო, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი შოთას ძმა, რევაზ არველაძეც იყოს. ძმათაგან უფროსმა არველაძემ „სარბიელს" უთხრა, ჯერ ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო და შემდეგ გადავწყვეტ, წამოვაყენო თუ არა ჩემი კანდიდატურაო.

„სანამ არველაძეები ქართულ ფეხბურთში იქნებიან, არაფერი გვეშველება" — ამას თუ ამის მსგავს ტექსტს ტელე-ესემესებშიც ამოიკითხავთ. რატომ შეიქმნა ასეთი ტენდენცია?

„ეს ალბათ შურის ბრალია, თორემ აჩი და რეზი აღარ თამაშობენ, მალე მეც დავანებებ თავს ფეხბურთელობას. მე კი არა, დავით ყიფიანი და მიხეილ მესხი ისე გაუშვეს ფეხბურთიდან, მადლობაც არ უთქვამთ, არადა, მათ ხომ კიდევ შეეძლოთ თამაში?! ჩემი საზომი კი იმ სახელგანთქმული მწვრთნელების აზრია შოთა არველაძეზე, ვისთანაც მიმუშავია" — განგვიმარტა შოთამ.

და რახან შოთას ძმა შესაძლოა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდეს, რეინჯერსელს ამ თემაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა.

„ისე არ არის, რომ ერთი სული მქონდეს, ჩემი ძმა პრეზიდენტი გახდეს. მთავარია, მომავალ პრეზიდენტს ქვეყნის ხელისუფლება გვერდში დაუდგეს, საქმე მხოლოდ ერთობლივად გაკეთდება. რაც შეეხება იმას, ვითამაშებ თუ არა ეროვნულ ნაკრებში, თუ რეზი პრეზიდენტი გახდება, ამას ჩემს ძმას არ ვკითხები, ჩემთვის ამ შემთხვევაში მთავარი ჯანმრთელობაა" — ასეთია შოთას აზრი საჭირბოროტო საკითხზე.

როგორც უნდა იყოს, პრეზიდენტობის კანდიდატი შოთას უფროსი ძმა ჯერ არ არის, მაგრამ ძმაკაცი კი — გიორგი ნემსაძე, ვისი მეტოქეც შესაძლოა რევაზ არველაძე გახდეს.

„ნემსაძის და რეზის პრეზიდენტობას ჩემი ნემსაძესთან ძმაკაცობა მირჩევნია, მაგრამ თუ რეზი პრეზიდენტობის კანდიდატი გახდება, მასსა და ნემსაძეს შორის მხოლოდ ისეთი დაპირისპირება გაჩაღდება, რომელსაც საფუძვლად მხოლოდ სპორტული ჟინი უდევს" — ასე მიაჩნია რეინჯერსელ არველაძეს.

და რა იქნება შოთას მორიგი ნაბიჯი? „უკვე მაქვს ახალ გუნდში გადასვლის რამდენიმე კონკრეტული ვარიანტი, ჩემმა აგენტმა ივან ბენეშმა კონკრეტული წინადადებები გამაცნო, თუმც გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ვჩქარობ" — გვითხრა არველაძემ, ვისაც ცხელი ყატარის ოქროებს ცივი ევრო ურჩევნია.

**დავით თავართქილაძე**

## თქვენი ინტერვიუ კახა კალაძესთან

**«მილანი» მილანი. იტალია**

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.*

*ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# ფიფა განაჩენს 29-ში გამოაჩენს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია 26 და 30 მარტის სანაკრებო მატჩებისას სტადიონზე მომხდარი უწესრიგობისთვის სასჯელს 29 აპრილს მიიღებს. სწორედ ამ თვის ბოლოსაა დანიშნული ფიფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, სადაც გაარჩევენ კიდეც ქართველი ბიჭბუჭების ქცევას ბერძნებთან და თურქებთან მატჩებისას.

ფიფას სხდომაზე მიწვეულია ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარიაც, რომელსაც დისციპლინარების წინაშე სიტყვის თქმის უფლებაც ექნება.

წინასწარი ინფორმაციით, ფიფა საქართველოს ნაკრებს უახლოეს საშინაო მატჩებს ან ცარიელ სტადიონზე ათამაშებს, ანაც ნეიტრალურ ქვეყანაში. დისკვალიფიკაცია რამდენმატჩიანი იქნება, ეს ვალერი ჩოლარიას მარიფათზეცაა დამოკიდებული.

შევახსენებთ, ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს თბილისში ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი — უკრაინასთან და ყაზახეთთან. შესაბამისად, თუ ფიფას სასჯელი სამ ან მეტმატჩიანი იქნება, ქართველებს საბერძნეთ-თურქეთთან უსაქციელობის მონანიება მომავალ, უკვე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც მოუწევთ.

**კობა ინასარიძე**

# გზა შემოდგომისკენ

## ხიზანეიშვილმა მენისკით დაიწყო



**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ბუნდესლიგური „ფრაიბურგის" 23 წლის მცველმა ოთარ ხიზანეიშვილმა გუშინ შვეიცარიაში, ბაზელში, მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მალე კიდევ მოექცევა ქირურგის დანის ქვეშ.

ხიზანეიშვილი 30 მარტს, საქართველო — თურქეთის მატჩში ისე დაშავდა, რომ მე-19 წუთზე შეცვალეს — ოთარს მარჯვენა მუხლი დაუზიანდა. ფრაიბურგში დაბრუნებულ ხიზანეიშვილს დიაგნოზი დაუსვეს — მენისკი და ჯვარედინი იოგების გაწყვეტა.

ხიზანეიშვილი გერმანიიდან შვეიცარიაში გადავიდა, იქაურ ექიმებსაც გაესინჯა და ოპერაციის იქ გაკეთებაც გადაწყვიტა. ჰოდა, გუშინ ხიზანეიშვილს მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, რამდენიმე კვირაში კი ბაზელშივე მუხლის იოგებს გაუმრთელებენ.

ხიზანეიშვილი შემოდგომისთვის თუ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

**დავით თავართქილაძე**

# ეგ რაღა მოსატანია?!

## ქართული ფეხბურთის ვარამი საბერძნეთ-თურქეთში არ ეტევა

*ქართულ ფეხბურთში დიდი ამბებია. ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას დაპატიმრებამ და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნამ მოსალოდნელზე მეტი ხმაური გამოიწვია და, ბუნებრივია, ასე იქნება 10 ივნისამდე, იქამდე, სანამ ახალი პრეზიდენტი აირჩევა...*

*ვის ვის და, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ლევან კობიაშვილს სიმართლის მთქმელ კაცად ვიცნობთ. ფედერაციის ირგვლივ შექმნილ აჟიოტაჟზეც სწორედ მასთან საუბარი გადავწყვიტეთ. თუმცა თავიდან, ცხადია, საკლუბო ამბებზე ვკითხეთ — ჩვენებურის „შალკეს" ხომ ბუნდესსასალათის მოგების შანსი შეუმცირდა...*

**— ბუნდესლიგის ბოლო ტურში „შტუტგარტთან" 0:3 წაგებას თქვენგან არავინ ელოდა. მაინც რა მოხდა?**

— მართლა ძალიან მწარე მარცხი იყო. ზუსტ მიზეზებს ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, წავაგეთ და მდგომარეობაც გავიუარესეთ. ახლა უფრო მეტი მობილიზება გვევალება.

**— ჩემპიონობაზე ხელი ხომ არ ჩაგიქნევია?**

— არა, რატომ?! „ბაიერნთან" ჩამორჩენა მხოლოდ სამი ქულაა და დაკარგვით ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. ახლა ყურების ჩამოყრას აზრი არა აქვს. მომავალ ტურშივე ვეცდებით, თამაში გამოვასწოროთ, მით უმეტეს, მეორე ადგილიც არ გვაქვს გარანტირებული. ვფიქრობ, ჩვენი ჩამოწერა ჯერ ადრეა.

**— კეთილი, ახლა ქართულ ფეხბურთზე ვთქვათ. საქართველოში მიმდინარე ამბები გეცოდინება — ფედერაციაში მალე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ფედერაციის სახე კი ნაკრებია და ხომ არ ფიქრობ, რომ უკვე მომხდარზე ნავთი სწორედ საბერძნეთ-თურქეთთან მარცხმა დაასხა?**

— იმაში დაგეთანხმები, რომ ფედერაციის მუშაობა ნაკრების შედეგებით განისაზღვრება, მაგრამ... მეორე მხრივ, ვერავის დავაბრალებ ამ ორ წაგებას. არა მგონია, რომ ფედერაციის ცუდი მუშაობის გამო წავაგეთ საბერძნეთთან და თურქეთთან. თუ ფედერაციის მუშაობაში წუნის პოვნა უნდათ, ამ ორ თამაშს ნუ გამოიყენებენ. ამის გარდა სხვა ბევრია სალაპარაკო, მაგრამ ისე გამოდის, რომ თითქოს ყველაფერი ამ ორ მატჩში გადაწყდა.

**— ამით რისი თქმა გსურს?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ საბერძნეთმაც და თურქეთმაც გვაჯობეს. არგამართლებაზე, იღბალზე და ასეთ სისულელეებზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. გვაჯობეს და მოგვიგეს, რაც პირველ რიგში ჩვენი ბრალი იყო. მაგრამ რა საჭიროა ამ თამაშებზე აქცენტის გაკეთება?! ისედაც ხომ ცნობილია, რა მდგომარეობაა, მაგალითად, ბავშვთა სკოლებში, საქართველოს ჩემპიონატში... ეს ის კონკრეტული შემთხვევაა, როცა ნაკრები ფედერაციის სახედ არ გამოდგება. წუნის პოვნა სხვაგან უფრო შეიძლება. იმედია, ახალი ხელისუფლება რამე სასიკეთოს გააკეთებს.

**— ამ თამაშების მერე ნაკრებიდან ხმა გამოვიდა, ყველაფერი ისე არაა, როგორც გარედან ჩანსო...**

— ერთხელაც ვიტყვი, რომ მე პირველ რიგში საკუთარი თამაშით ვარ უკმაყოფილო. სხვას ვერავის დავაბრალებ იმას, რომ იანკოპულოსმა თუ ბასინასმა გოლი გაგვიტანეს. შესაძლოა, რაღაცაში ხელი მართლა შეგვეშალა და ყველაფერი ისე არ იყო, როგორც გვსურდა, მაგრამ... თუ ვინმემ უფრო კონკრეტულად რამე იცის, ჯობია, თქვას. პატარა ბავშვები არ ვართ, ერთმანეთს ჯიბრში ჩავუდგეთ და დამალობანა ვითამაშოთ.

**— ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებმა უკვე დაიწყეს მათი აზრით პრიორიტეტული საკითხების აფიშირება. ისიც ითქვა, ალენ ჟირესს ნაკრებში დიდი დღე არ უწერიაო... შენი, როგორც ნაკრების წევრის აზრი როგორია?**

— ბუნებრივია, პრეზიდენტი ვინც გახდება, ის გადაწყვეტს ჟირესის მომავალს, მაგრამ არასწორად მიმაჩნია ამ ეტაპზე კანდიდატის მხრიდან მწვრთნელზე ლაპარაკი. ჟირესი არაა ქართული ფეხბურთის პრობლემა და ამით პლუსების თუ ქულების დაწერა უაზრობაა. არავის მითქვამს, რომ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს, თუ, რა თქმა უნდა, წინსვლაზე ვფიქრობთ. კანდიდატებმა კი, ჯობს, სხვა რამეზე ილაპარაკონ და სხვა პრობლემების გადაჭრაზე იფიქრონ. როგორც ვიცი, ჯერჯერობით მხოლოდ ვლადიმერ გუცაევმა და გიორგი ნემსაძემ წამოაყენეს კანდიდატურა. ბუნებრივია, მე ნემსაძის მხარდამჭერი ვარ — გიორგის საქმის კეთება შეუძლია.

**— ხელისუფლების ფავორიტი გერმანიაში მცხოვრები ნოდარ ახალკაცია. თუ გქონია მასთან რაიმე კონტაქტი ბოლოხანს?**

— ნოდარს პირადად ვიცნობ, მაგრამ არც ისე ახლოს, რომ ამის შესახებ გვესაუბრა.

**კახა შალამბერიძე**





გურამ [illegible] ფოტო

# მამუკა გუგეშაშვილი: ტუზი ჯერ არავის უჭირავს

**10 ივნისი** ჯერ შორსაა, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლის ციებ-ცხელება უკვე დაწყებულია და დღიდან დღემდე გამძაფრდება. გუცაევი თუ ნემსაძე? არც ერთი და არც მეორე; ჯერ რა დროსია... არ წყდება ასეთი საუბრები.

„თბილისის" ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი ფეხბურთში ჩახედული კაცია და მისი აზრი იმიტომაცაა საინტერესო, რომ „თბილისი" ერთხანს კლუბის პრეზიდენტ ნიკოლოზ დოლიძის კანდიდატურის წარდგენაზეც ფიქრობდა.

„ჩემი აზრით, ვინც 20 აპრილს ოფიციალურად წარადგენს თავის კანდიდატურას, პრეზიდენტიც ის გახდება. რატომ მაინცდამაინც 20 აპრილს? ვფიქრობ, ამ დღეს კონტურები შემოიხაზება. ჯერ ოფიციალურად კანდიდატურა არავის დაუფიქსირებია, ვლადიმერ გუცაევმა და გიორგი ნემსაძემაც წინასწარი განცხადება გააკეთეს. ასე რომ, მათი საარჩევნო პროგრამები უცნობია, როდესაც მას ჩამოაყალიბებენ და დაასაბუთებენ, მერე ვნახოთ. გუცაევის და ნემსაძის ფავორიტობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია".

და ვინ იქნება გუცაევის და ნემსაძის შემდეგ? მამუკა გუგეშაშვილის აზრით, კანდიდატთა რიცხვი აუცილებლად გაიზრდება.

„ჯერ „ტუზი" არავის უჭირავს, ნაკლები რანგის კარტებით კი ძნელია განსაზღვრა. ამიტომაც, ვფიქრობ, სწორად იქცევა რევაზ არველაძე, თავის კანდიდატურის წამოყენებას რომ არ ჩქარობს. საარჩევნო კამპანია ძალიან ჩახლართულია და თითოეული ნიუანსია გასათვალისწინებელი".

**ილია ნანობაშვილი**

# ვალდას ივანაუსკასი: კვარაცხელიას ჰართსის შანსი აქვს

*„კაუნასი" რომ ლიტვის საუკეთესო გუნდია და მისი ამბიციები ქვეყნის ჩემპიონობას სცდება, არახალია. კაუნასელებს ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვი პატრონობს, რომელიც შოტლანდიური „ჰართსის" მფლობელიცაა.*

*„კაუნასმა" ლიტვის ჩემპიონატის დაწყების წინ ორი ქართველი მცველი — აკაკი ხუბუტია და გივი კვარაცხელია დაიმატა.*

*ამ კლუბს, მოგეხსენებათ, ლიტვის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვალდას ივანაუსკასი წვრთნის. ქართველებსაც გვახსოვს მისი ჯიგრიანი თამაში 80-იანი წლების ბოლოს, როცა იგი ბარანაუსკასთან, ნარბეკოვასთან, იონანისთან და სხვებთან ერთად თამაშობდა და ვილნიუსის „ჟალგირისი" საბჭოეთში ერთ-ერთი უსიმპათიურესი გუნდი იყო.*

*ივანაუსკასს გუშინ დავუკავშირდით და კაუნასელ ქართველებზე ვესაუბრეთ. ვალდასმა საქართველო თბილად მოიკითხა, თბილისის „დინამო" „ჟალგირისის" შემდეგ ჩემი საყვარელი გუნდი იყო, ფეხბურთი რასაც ჰქვია, ისინი თამაშობდნენო...*



— ლიტვის ჩემპიონატი გუშინ დაიწყო, „შიაულაის" 5:1 მოვუგეთ. გივი კვარაცხელიამ კარგად ითამაშა, თუმცა მეტოქე სუსტი იყო და მასთან თამაშით ფეხბურთელის სრულფასოვანი შეფასება მიძნელდება. გივი დაცვაშიც კარგია, თუმცა მე იგი საყრდენ ნახევარმცველად მჭირდება.

**— აკაკი ხუბუტიაზე რას იტყვით, მას „კაუნასის" ძირითადში მოხვედრის შანსი ჯერ არ აქვს?**

— ხუბუტია სამი დღის წინ „ნეჟევისში" გავანათხოვრეთ. ვფიქრობ, მისთვისაც უკეთესი იქნება, რათა სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. ამ ეტაპზე აკაკისთვის „კაუნასის" ძირითადში თამაში ნაადრევია. ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მის პერსპექტიულობაში ეჭვი არ მეპარება, რაც მთავარია, ძალიან მონდომებულია. ხუბუტიამ გუშინ ითამაშა „ვეტრას" წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, მას ყველა მატჩში დავაკვირდებით.

**— რა ვადითაა განათხოვრებული ხუბუტია?**

— 1 ივლისამდე. მერე კი გადავწყვეტთ, „ნეჟევისში" დარჩეს თუ ჩვენთან დაბრუნდეს. აკაკის გარდა ამ გუნდში კიდევ ორი მოთამაშე გავანათხოვრეთ.

**— „კაუნასი" შოტლანდიურ „ჰართსთან" დაახლოვებული გუნდია და უკვე ორი ფეხბურთელიც გაგზავნეთ იქ. ქართველებს თუ აქვთ „ჰართსში" მოხვედრის შანსი და თუ იყო ამაზე ლაპარაკი?**

— რატომაც არა?! „ჰართსში" გადასვლის შანსი კვარაცხელიას უფრო აქვს, ხუბუტიასათვის კი ჯერ ადრეა ასეთი დონის კლუბი. თუმც ისე არ გაიგოთ, თითქოს „კაუნასი" „ჰართსის" ფარმ-კლუბი იყოს. ჩვენც დიდი მიზნები გვაქვს, ფეხბურთელებს არც ერთი ხელის მოსმით არ ვყიდით.

**— ლიტვის ნაკრები საკმაოდ ძლიერად თამაშობს მუნდიალის შესარჩევში. რეალურად შეუძლია ლიტვას გერმანიაში წასვლა?**

— ესპანეთს ფრე ვეთამაშეთ, ახლახან ბოსნიიდანაც ქულა წამოვიღეთ. ნაკრების პროგრესი საგრძნობია, თუმცა სერბეთი და ბელგია ჩვენზე ძლიერები არიან, ესპანეთზე რომ არაფერი ვთქვათ.

**— ლიტვის ჩემპიონობას რომ უმიზნებთ, ცხადია. ჩემპიონთა ლიგაში რას გეგმავთ?**

— ქვეყნის ჩემპიონობაზე და თასზე ლაპარაკიც ზედმეტია, ორივე უნდა მოვიგოთ. ჩემპიონთა ლიგაში კი რაც შეიძლება მეტი ეტაპი უნდა გავიაროთ. „კაუნასი" ნელ-ნელა უმატებს, შარშანდელზე კარგი გუნდი ნამდვილად გვყავს და ჯგუფში მოსახვედრად ვიბრძოლებთ. ოღონდ ცოტა კენჭისყრამ გაგვიმართლოს და შეუძლებელი არაფერია. თუ სლოვენიის „მარიბორი" და ფინეთის ჰიკ-ი გასულან ჯგუფში, ჩვენ რატომ უნდა ჩავიქნიოთ ხელი?! თანაც ზაფხულისთვის შემადგენლობა უნდა გავაძლიეროთ.

**— რომელიმე ქართველის დამატებასაც ხომ არ აპირებთ?**

— მე ბავშვობიდან მომწონს ქართული ფეხბურთი. „მომწონს" კიდევ არაა ის სიტყვა... გამორიცხული არაფერია, ჩვენ ბევრ მოთამაშეს ვაკვირდებით. თუ შემომთავაზებთ კარგ ქართველ მარცხენა მცველს, კი ბატონო. ოღონდ ახლა არ მინდა, ზაფხულში ჩემპიონთა ლიგისთვის დამჭირდება.



გურამ [illegible] ფოტო

გივი კვარაცხელიამ ვალდას ივანაუსკასს თავი უკვე მოაწონა

**ილია ნანობაშვილი**

# ადამია უცხო ოქროსკენ მიიწევს

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში გუშინ 27-ე ტური ჩატარდა და ავრორამ გიორგი ადამიას „ნეფთჩისთვის" გაისროლა. მენავთობეებმა სტუმრად 4:0 მიანგრიეს „კარატი", რაშიც ადამიამ ლომის წილი დაიდო. ექსვიტჯორჯიელმა თავდამსხმელმა მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში, მეორე ტაიმში კი საგოლედ უპასა 37 წლის ვიდადი რზაევს. ადამიას აზერბაიჯანულ ჩემპიონატში უკვე 6 გოლი მოუგროვდა. „ნეფთჩი" კი ერთი ქულითღა ჩამორჩება ლიდერ „ყარაბახს", რომელმაც სტუმრად 0:1 წააგო „ინტერთან".

ამ ორ გუნდთან ერთად ჩემპიონობისთვის იჭიდავებს „ხაზარი". ლენქორანელები დაკარგული ქულებით პირველ ადგილზე არიან. გუნდის სული და გული კი ერთ დროს თურქეთის ამომავალი ვარსკვლავი, 29 წლის ოქთაი დერელიოღლუა, რომელიც აზერბაიჯანში ადამიასავით მეორე წრეში გადავიდა და 8 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

მერაბ ძოძუაშვილისა და ალეკო გოგობერიშვილის „ბაკიმ" „გიანჯაბირლისთან" 1:1 ითამაშა და დიდი-დიდი, სამეულში მოსახვედრად თუ იბრძოლებს. „ბაკიმ" ბოლო წუთზე ბრაზილიელი ფერნანდოს გოლით გადაარჩინა ქულა. ამ მატჩში ჩვენიანებიდან მარტო გოგობერიშვილი გამოჩნდა და ერთხელ ძელსაც გაარტყა ბურთი.

ძმებ ირაკლი და გოგა ბერაიებისა და მიხეილ ხუციშვილის „გიანჯა" კი ცხრილის მეზობელ „არაზს" სტუმრად 0:0 გაეყარა.

**ილია ნანობაშვილი**

ფეხბურთი

ფკ ამერის სკოლა

პირველი ლიგა

14 აპრილი

ოცდამეორე ტური

ამერი — დინამო 2

თბილისი თბილისი

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www. fcameri.ge

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი



# დედა, რა იყო ეს?!
## მერკს რომ გოლი ჩაეთვალა...

პაპუნა ძედია

*„სან სიროზე“ რა ამბავიც დატრიალდა ყველამ ვიცით და, ამიტომ ჩვენს წერილს გულუბრყვილო შესავალს აღარ წავუმძღვარებთ — „ინტერისა“ და „მილანის“ თამაში 73-ე წუთზე ჩაიშალა, „შავ ლურჯების“ ქომაგებმა ტრიბუნიდან მაშხალებისა და ბოთლების ნიაღვარი მოაწყეს, ერთი მაშხალა მილანელთა ბრაზილიელ მეკარე დიდას მოხვდა მხარში, „ინტერის“ მოთამაშეთა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, ტიფოზები მაინც არ დაცხრნენ.*

*როგორც ამბობენ, მარტო საჯარიმო მოედანზე 30-ზე მეტი ანთებული მაშხალა დაეცა და ეს ყველაფერი მას მერე დაიწყო, რაც შეხვედრის გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა „ინტერის“ არგენტინელ ნახევარმცველს ესტებან კამბიასოს გოლი არ ჩაუთვალა*

**შეგახსენებთ** ანგარიშს: კამბიასომდე თამაშს ანდრეი შევჩენკოს გოლით „მილანი“ იგებდა, ხოლო ორი შეხვედრის ჯამში 3:0 გახლდათ. ასე რომ, კამბიასოს გოლი რომ ჩაითვლილიყო, შეხვედრის დარჩენილ 17 წუთში „ინტერს“ კიდევ სამის გატანა მართებდა, რათა ჯამური ანგარიში მისთვის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა ანუ 4:3 გაეხადა. ფრის, 3:3-ის შემთხვევაში, მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წყალობით ნახევარფინალში მაინც „მილანი“ გავიდოდა, თუმცა ამ ფრის ამბავიც ფანტაზიის სფეროდან და ალბათობის თეორიის სახელმძღვანელოდან რომ იყო, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს.

და, ნუ იფიქრებთ, რომ მარკუს მერკს ან ვინმეს დედამიწის ზურგზე დიპლომატიური მოსაზრებით, წესების დარღვევით გატანილის ჩათვლას მოვუწოდებდეთ. არა, უბრალოდ კამბიასოს გოლი ნამდვილ გოლს ჰგავდა — თუმცა კატეგორიულად მაინც არ მოვყვებით არაფრის მტკიცებას — ხოლო „ინტერის“ ქომაგებს, „მილანთან“ ერთიმეორეს მიყოლებული წაგებები, ბუნებრივია, უკვე გვარიანად აღიზიანებდათ...

ასე იყო თუ ისე, ოცდახუთწუთიანი პაუზის შემდეგ, მარკუს მერკმა მატჩის გაგრძელება სცადა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ბურთი მილანელთა საჯარიმოსთან დატრიალებულიყო, რომ ბოთლების და მაშხალების ნიაღვარი განმეორდა და თამაშიც იქვე, საბოლოოდ შეწყდა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის თამაში უკვე მეორედ ჩაიშალა და ორივეჯერ იტალიაში — პირველად, ეს ჯგუფურ ეტაპზე, „რომასა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრის დროს მოხდა..

და კიდევ ერთი, მერკმა და მატჩის დელეგატმა უეფაში წარსადგენ ოქმში „მილანის“ გამარჯვება დააფიქსირეს, თავად უეფა კი საბოლოო სიტყვას პარასკევს, საქართველოს დროით 15 საათზე იტყვის.

და, რა შეიძლება შეცვალოს უეფამ? სავარაუდოდ, არაფერი. თეორიულად არსებობს შეხვედრის ან დარჩენილი 17 წუთის გადათამაშების ვარიანტიც, მაგრამ ეს „მილანის“ უდანაშაულო ქომაგების მიმართ უსამართლობა იქნება და „რომა“ — „დინამოს“ ზემოხსენებული ამბის პრეცედენტიც იმას მიუთითებს, რომ „შავ-წითლები“ უკვე ნახევარფინალში არიან.

### შევჩენკოს ეპიზოდი

ზემოთ ისიც ვახსენეთ, რომ შეხვედრას ანდრეი შევჩენკოს საუცხოო გოლით „მილანი“ იგებდა, თუმცა უკრაინელ ფორვარდთან დაკავშირებით იყო სხვა ეპიზოდიც: თამაშის დასაწყისში შევჩენკომ „ინტერის“ მცველ მარკო მატერაცის თავი ჰკრა, რაც მერკს შეუმჩნეველი დარჩა. ამბობენ, „ინტერის“ გულშემატკივრების პირველი გაღიზიანება სწორედ ამ „რქენამ“ გამოიწვიაო, თუმცა სულ სხვა ეჭვიც არსებობს.

### დებოში დაგეგმილი იყო

ამბობენ, რომ ის, რაც სამშაბათ საღამოს „სან სიროზე“ მოხდა, წინასწარ იყო დაგეგმილი. პრესისთვის ამის შესახებ „კურვა ნორდთან“ დაახლოებული ხალხისგან გახდა ცნობილი, „კურვა ნორდი“ კი ქართულად ჩრდილოეთის ტრიბუნას ნიშნავს და ის ადგილი გახლავთ, სადაც „ინტერის“ აბონემენტებიანი ქომაგები, ტიფოზთა გავლენიანი დაჯგუფებების წევრები და სხვა თავგადაკლული გულშემატკივრები სხედან. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ „კურვა ნორდს“ „შავ-ლურჯების“ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

და რა შუაშია ჩრდილოეთის ტრიბუნა? — იკითხავთ თქვენ. მოგახსენებთ: როგორც ამბობენ, დებოში იმთავითვე სწორედ აქაურმა ლიდერებმა დაგეგმეს. ამ ლიდერების მიზანი კი კლუბის საპატიო პრეზიდენტის, მასიმო მორატის თავიდან მოშორება ყოფილა.

საინტერესოა, რომ მატჩის შემდეგ, სხვადასხვა ტელეარხებზე მოწყობილმა ინტერაქტივებმა გამოამჟღავნა, რომ ამ ეჭვს საკმაოდ ბევრი იტალიელი იზიარებს.

აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ რაც მასიმო მორატი „ინტერის“ პრეზიდენტია — ეს კი თითქმის ოცი წელიწადია გრძელდება — უდიდესი დანახარჯების მიუხედავად, გუნდმა მხოლოდ ერთხელ მოიგო უეფას თასი, იტალიის ჩემპიონის ტიტულს კი ვერა და ვერ შესწვდა.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ მასიმო მორატი გახლავთ „ინტერის“ ლეგენდარული პრეზიდენტის, ანჯელო მორატის ვაჟი. „შავ-ლურჯთა“ კლუბმა თავისი ისტორიის უდიდეს შედეგებს სწორედ მამა მორატის ეპოქაში მიაღწია, მაშინ, როდესაც ანჯელო მორატიმ მწვრთნელად ელინიო ერერა მიიყვანა.

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

## უცნაური წყვილი

შეიძლება ბევრს ეუცნაუროს, მაგრამ მატჩის შემდეგ, „ინტერის" ორმა ცნობილმა ფეხბურთელმა, არგენტინელმა ხუან სებასტიან ვერონმა და კოლუმბიელმა ივან კორდობამ თავიანთი დებოშიორი ქომაგები გაამართლა.

„თქვენთვის ამის გაგება ძნელია, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, რომ გულშემატკივრები ცამდე მართლები იყვნენ — თქვა ვერონმა — არ ვიცი, მსაჯმა რა დაინახა, მაგრამ კამბიასოს გოლი ალალი გოლი იყო."

ივან კორდობამ კი, რომელმაც მერკს გოლის არჩათვლის შემდეგ ირონიულად დაუკრა ტაში, განაცხადა:

„მერკის საქციელის შემდეგ გულშემატკივრის რეაქცია სრულიად გასაგები იყო. ან როგორ ვუსაყვედურო ქომაგებს, როდესაც ის, რასაც ჩვენგან ითხოვდნენ, ვერ მივეცით. ჩემი ტაშიც ინსტინქტური რეაქცია გახლდათ. მე კიდევ არ მესმის, რატომ არ ჩათვალეს კამბიასოს სუფთა გოლი."

და ბარემ აქ, თანაგუნდელების კომენტართან მოვიტანოთ ზემოხსენებული, შევჩენკოსგან თავჩარტყმული მატერაცის ნათქვამიც:

„მე ჩვენი ულტრა გულშემატკივრების ლიდერებს კარგად ვიცნობ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ისინი ჭკვიანი, ინტელიგენტური ადამიანები არიან. გამორიცხულია, მათ დებოშიორობის სიყვარული ჰქონდეთ. რაც მოხდა, სამწუხაროა, მაგრამ იმავდროულად ჩემთვის გასაგები გახლავთ."

## ინტერის მწვრთნელი

„ინტერის" მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ მატჩის შემდეგ განაცხადა: „ყოველმხრივ უკმაყოფილონი და დაზაფრულნი გახლავართ. უკმაყოფილების საბაბს გვაძლევს, როგორც მატჩის სპორტული მხარე, ასევე ის, რაც ტრიბუნაზე მოხდა.

ჩვენ და „მილანმა" ორი მატჩი ჩავატარეთ ჩემპიონთა ლიგაში და ორივეში სასწაულებრივად ითამაშა მილანელთა მეკარე დიდამ. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, მინდა გითხრათ, რომ კმაყოფილი ვარ და ბიჭებს გაუტეხელობისთვის მადლობას ვუხდი. იმის მიუხედავად, უნდა ჩაეთვალა მსაჯს კამბიასოს გოლი თუ არა, შეხვედრის ასე დამთავრება ძალიან არასასურველი გახლდათ.

ამ თამაშის დაწყებამდე, ბიჭებს ზუსტად ის გავუმეორე, რაც პირველი მატჩის წინ ვუთხარი: ჩვენი ამოცანა ფლანგებიდან ბურთის ხშირი ჩაწოდება გახლდათ, მაგრამ „მილანმა" პირველი გოლი გაიტანა და მდგომარეობა გაგვირთულა. შევჩენკო დიდებული თავდამსხმელია და დიდებული გოლი შეაგდო ჩვენს კარში. მოკლედ, თამაშის შედეგი ამ ორმა ფეხბურთელმა, დიდამ და შევჩენკომ განაპირობა."

## მილანის მწვრთნელი

კარლო ანჩელოტი: „უამრავ დერბიში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ გულშემატკივრების ასეთი რეაქცია არ მინახავს, რაც მოხდა, ძალიან მოულოდნელი იყო. მილანი ყოველთვის რაინდული სპორტული სულის მქონე ქალაქი იყო და დღევანდელმა ამბავმა ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ მას მიაყენა. რასაკვირველია, შეიძლება დაცვის ღონისძიებების გაძლიერება და პოლიციის როლის გაზრდა, მაგრამ აქ უპირველეს ყოვლისა კულტურის საკითხი დგას. დიახ, ბევრს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ტელეგამეორებებმა და სტადიონზე დაყენებულ კამერათა რაოდენობამ მსაჯების შეცდომებს ხაზი გაუსვა და ეს პრობლემაა, ვითარებას ძაბავს, მაგრამ ამჯერად საქმე სხვა რამესთან გვაქვს: ჩვენთან, მილანში, „მილანისა" და „ინტერის" ქომაგები ერთმანეთს ყოველთვის ექილიკებოდნენ, ეხუმრებოდნენ და მათი „მტრობაც" სულ ამისგან შედგებოდა. ამაზე მეტი არავის არასდროს უკადრია.

ჩვენ სოლიდური გუნდის წინააღმდეგ მაღალი დონის დაცვითი ფეხბურთი ვითამაშეთ, თუმცა თავდასხმაშიც ძალიან სახიფათონი ვიყავით და ამის დასტური შევჩენკოს ფანტასტიკური გოლია."

მილანი. „სან სირო". 82 734 მაყურებელი

## ინტერი 0:1 მილანი (0:2)

0:1 შევჩენკო (30); *მატჩი 73-ე წუთზე ჩაიშალა*

ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვან დერ მეიდე, ვერონი, კ. ძანეტი (მიხაილოვიჩი 46), კამბიასო, კილი გონსალესი (ხ. კრუზი 46), ადრიანო (მარტინსი 51)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

დიდა (აბიატი 73), კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო (რუი კოშტა 69)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კილი გონსალესი, ამბროზინი, კორდობა, ნესტა, კამბიასო
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

## და ისევ შევჩენკო

ბოლოსთვის კი „მილანის" უდიდესი ვარსკვლავის, ანდრეი შევჩენკოს კომენტარი შემოვიტოვეთ.

„ძალიან ვწუხვარ, ასეთი რამ რომ მოხდა — განაცხადა უკრაინელმა — სამწუხაროა, რომ ეს „ინტერს" შემთხვა. საბოლოოდ კარგი ფეხბურთი ჩაიშალა და სულ ეს იყო, რასაც ამ ადამიანებმა მიაღწიეს. ასევე მჯერა, რომ გულშემატკივართა უმრავლესობას მატჩის დებოშით დასრულება სულაც არ სურდა. პასუხად ჩვენ, ფეხბურთელებს ერთადერთი, რაც შეგვეძლო, მოედანზე სპორტული ქცევა."






AFP

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი




პეტრ ჩეხის კარში ბოლო წუთებზე გატანილმა გოლებმა მიუნხენელთათვის სასურველი შედეგი მაინც ვერ მოიტანა

# რა ჯანდაბაა ეს რიკოშეტი!
## კანი ოპოზიციურ პარტიაში

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი". 63 000 მაყურებელი

### ბაიერნი 3:2 ჩელსი (2:4)

0:1 ლამპარდი (30), 1:1 პიზარო (65), 1:2 დროგბა (80), 2:2 გერერო (90), 3:2 შოლი (90)

| | |
|---|---|
| კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ (სალიჰამიჯიჩი 78), შვაინსტაიგერი, დემიკელისი (შოლი 52), ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი (გერერო 73), პიზარო<br>მწვრთნელი: ფელიქს მაგათი | ჩეხი, რ. კარვალიუ, ჰუთი, ტერი, გალასი, ჯ. კოული (ნუნუ მორაიში 90), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ტიაგუ 71), დროგბა, გუდიონსენი (ჯერემი 88)<br>მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ |

გაფრთხილება: კოვაჩი, გუდიონსენი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**„მანჩესტერ სიტი"**, „ბარსელონა", „ბაიერნი" — აი, ის სამი გუნდი, რომლებმაც ამ სეზონში აბრამოვიჩ-მაურინიუს ნახელავი „ჩელსის" დამარცხება შეძლეს. ზემოჩამოთვლილები ლონდონურ კლუბს მხოლოდ თითო მოგებას გამორჩნენ. „ჩელსი" კი დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ პრემიერლიგაშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც.

მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელმა და ფეხბურთელთა უმეტესობამ „ჩელსისთან" გამარჯვების შემდეგ უიღბლობაზე დაიჩივლეს.

„ისევ რიკოშეტით გავუშვით! — შფოთავდა ფელიქს მაგათი — ვფიქრობ, მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ მათ მეტად გაუმართლათ. ჩემპიონთა ლიგის მომგებ გუნდს იღბალიც უნდა ახლდეს თან, რაც „ბაიერნს აკლდა. 1:1-ზე მეორე გოლი რომ გაგვეტანა, დარწმუნებული ვიყავი, მესამესაც მივაყოლებდით, თუმც აქეთ გაგვიტანეს და 1:2-ზეც მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. დიდიე დროგბა ისეთი ფორვარდია, რომელსაც 90 წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგის კართან თავდაუზოგავად შრომა შეუძლია და ცხადია, მისი შეჩერება ძნელი იყო. თავითაც შესანიშნავად თამაშობს, რაც დაამტკიცა კიდეც. ამ მხრივ ის უბადლოა."

მიხაელ ბალაკი: „ეს საშინელებაა, ჩვენ ხომ უკეთესად ვითამაშეთ და ნახევარფინალში გასვლასაც ვიმსახურებდით. საგოლე მომენტებიც მეტი გვქონდა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „ჩელსი" ძლიერი გუნდია. რაც შეეხება ფრენკ ლამპარდს, ბრწყინვალე ფეხბურთელია და ამჟამად საუცხოო ფორმაშია. ორ შეხვედრაში სამი გოლი გაგვიტანა და მოედანზე სწორედ მისმა ყოფნამ გადაწყვიტა „ჩელსის" ნახევარფინალში გასვლა".

სხვაგვარად ფიქრობს ოლივერ კანი: „მთავარი ის კი არაა, რომ ჩვენი თამაში ვაქოთ, არამედ უნდა გავაანალიზოთ, უამრავი საგოლე მომენტი რატომ ვერ გამოვიყენეთ. ესე იგი შეტევაში მოვიკოჭლებთ, ასეთი დონის მატჩებში კი ძლიერი მეტოქე შეცდომებს არ გაპატიებს".

უიღბლობაზე თუ ვინმეს საწუწუნო აქვს, პირველ რიგში ალბათ ლუსიოს და ოლივერ კანს. ისევე როგორც ლონდონურ შეხვედრაში, მიუნხენშიც ფრენკ ლამპარდის დარტყმული ბურთი ლუსიოს მოხვდა და გეზნაცვალი შევარდა კანის კარში. ამ გოლამდე კი კლაუდიო პიზარომ და ბასტიან შვაინსტაიგერმა ხელსაყრელი ეპიზოდებში ვერ იხეირეს. სწორედ ამას „მისტირის" ოლივერ კანი: როი მაკაისა და კლაუდიო პიზაროს გამოჯანრთელებით „ბაიერნის" შეტევის ხაზი თითქოს გაძლიერდა, მაგრამ თამაშისას გამოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი სასურველ ფორმაში არ იყო.





მიხაელ ბალაკისა და ოლივერ კანის აზრები მატჩის შემდეგ გაიყო

ნამატჩევს ფრენკ ლამპარდმა განაცხადა: „შარშან ამბობდნენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე სუსტ მეტოქეებს ვძლიეთ. ახლა იგივეს ველარ იტყვიან, რადგან ჯერ „ბარსელონას" მოვუგეთ, მერე კი „ბაიერნს". გერმანელებთან მატჩის ბოლოს ოდნავ მოვეშვით, მაგრამ მთავარია, რომ ნახევარფინალში ვართ. ჩვენ ჟოზე მაურინიუ გვაკლდა, რაც განსაკუთრებით შესვენებისას, გასახდელში იგრძნობოდა. ახლა სულერთია, ნახევარფინალში „ლივერპულს" შეხვდებით თუ „იუვენტუსს".

მიუნხენური მატჩისწინა პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა ჟოზე მაურინიუ, რამაც უეფას ავსტრიელი დელეგატი ვოლფგანგ აიხლერი გააბრაზა: „უეფასა და მაურინიუს შორის ურთიერთობა ამით უფრო გაუარესდება. ამის გამო, რა თქმა უნდა, მას ვერ დავსჯით, მაგრამ სირცხვილია, „ბაიერნიდან" ფელიქს მაგათი, კაპიტანი ოლივერ კანი და ოუენ ჰარგრივსი გამოცხადდნენ, „ჩელსის" მწვრთნელმა კი მოსვლა არ ინება. ამის თაობაზე უეფას აუცილებლად ვაცნობებ".

„ჩელსის" პორტუგალიელმა თავკაცმა პრესკონფერენციასაც უგანა და მატჩის დაწყებისთანავე „ოლიმპიაშტადიონიდანაც" მალე აიბარგა. სასტუმროში ჟოზე ტაქსით წავიდა და ფეხბურთის ყურება იქ განაგრძო.

ნამატჩევს მისმა თანაშემწემ რუი ფარიამ განაცხადა: „თამაშის დროს ჟოზე მაურინიუსთან არ მისაუბრია, რასაც პირველი შეხვედრისას მაბრალებდნენ. იგი ტრიბუნაზე იყო, მაგრამ ტელეკამერებისგან შეწუხებულმა სასტუმროში წასვლა გადაწყვიტა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# უეფას თასი 2004-2005
## 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

სპორტინგი (პორტუგალია) – ნიუკასლი (ინგლისი) (0:1)
ოსერი (საფრანგეთი) – ცსკა (რუსეთი) (0:4)
პარმა (იტალია) – აუსტრია (ავსტრია) (1:1)
ალკმაარი (ჰოლანდია) – ვილიარეალი (ესპანეთი) (2:1)

# ცსკა უეფას ფავორიტია
## უკაპიტნოდ დარჩენილი კაჭკაჭები

*ერთმა კვირამ ძალიან მალე ჩაიქროლა და აი, ისევ უეფას თასის მეოთხედფინალურ მატჩებზე გვიწევს საუბარი. უდავოა, რომ ფეხბურთის გურმანებს დღეს კიდევ ერთი დაძაბული, საინტერესო და ემოციური სალამო გველის. ცენტრალურ მატჩად კვლავ „სპორტინგისა" და „ნიუკასლის" დაპირისპირება უნდა მივიჩნიოთ. არანაკლები ინტრიგა შემორჩა სხვა შეხვედრებსაც. ერთადერთი ცსკა-სა და „ოსერის" წყვილში შეიძლება გამოკვეთილი ფავორიტის დასახელება. სხვათა შორის, მსოფლიოს წამყვანი ბუქმეიკერული კანტორები ამ დროისთვის არსებული კოეფიციენტებით, ტურნირის მთავარ ფავორიტად სწორედ მოსკოველებს მიიჩნევენ*

### სპორტინგი – ნიუკასლი

„ჟოზე ალვალადეზე" ადგილობრივი „სპორტინგი" ყველანაირად ეცდება ერთბურთიანი ფორის აღმოფხვრას და ფინალისკენ გზის გაკვლევას, რომელიც სწორედ ლისაბონელთა მშობლიურ მოედანზე გაიმართება.

გუნდში სათანადო განწყობაა. პორტუგალიელთა თავკაცი ჟოზე პეშეირო თავის შეგირდებს ამხნევებს, ამ ბარიერის გადალახვა ნამდვილად შეგვიძლია, მთავარია, ყურადღებით ვიყოთ და ბოლომდე დავიხარჯოთო.

სტუმრებს შემადგენლობის მხრივ საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ: გუნდის კაპიტანი და პირველ შეხვედრაში ერთადერთი გოლის ავტორი ალან შირერი მინდორზე ვერ გავა. ასევე დაშავებულია „კაჭკაჭთა" ძირითადი მეკარე შეი გივენი. აარონ ჰიუზი დისკვალიფიცირებულია, კირონ დაიერის თამაში კი სათუოა. სამაგიეროდ, მოულოდნელად მწყობრში ჩადგა გამოცდილი ნიგერიელი მცველი სელესტინ ბაბაიარო.

„ალანს ფეხი სტკივა და, სამწუხაროდ, მისი იმედი არ უნდა გვქონდეს. ასევე ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ გივენმა თამაში შეძლოს. ხოლო დაიერის ამბავი ალბათ მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე გაირკვევა" — აღნიშნა ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა.

ლისაბონელთა მთავარი პრობლემა გუნდის ლიდერის და საუკეთესო ბომბარდირის, ლიდსონის არყოფნაა — ბრაზილიელი დისკვალიფიცირებულია. ამ დანაკლისს სანაცვლოდ „სპორტინგის" ორი წამყვანი მოთამაშის — კუშტუდიუსა და დუალას მწყობრში ჩადგომა ავსებს.

გრემ სუნესი: „რა თქმა უნდა, ლიდსონის არყოფნა ჩვენთვის დიდი შვებაა. იგი ჩინებული ფეხბურთელია, თუმც „სპორტინგი" მთლიანადაა ძალიან დაბალანსებული გუნდი. ამიტომ მოდუნება და კონცენტრაციის დაკარგვა წუთითაც არ შეიძლება. იმედია, მიზნის მიღწევას შევძლებთ".

### ალკმაარი – ვილიარეალი

ერთი კვირის წინ, „ელ მადრიგალზე" სენსაციურად დამარცხებული „ვილიარეალი" ჰოლანდიას დიდი იმედებით ეწვია. ესპანელებს სჯერათ, რომ ამ ორთაბრძოლის თავისთვის სასიკეთოდ შემოტრიალებას შეძლებენ. განსაკუთრებულ ოპტიმიზმს მათი თავკაცი მანუელ პელეგრინი ავლენს.



ვალერი გაზაევის გუნდი ცალი ფეხით ნახევარფინალშია

„კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად წაგებისა, შემდეგ ეტაპზე გასვლის საკმაოდ დიდი შანსი გვაქვს. მართალია, „ალკმაარი" ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ჰოლანდიელები გახსნილ ანუ ჩვენთვის მისაღებ ფეხბურთს თამაშობენ, რითაც უნდა ვისარგებლოთ" — თქვა პირენეელთა თავკაცმა.

სტუმართა ოპტიმიზმს ხელს უწყობს და უფრო საფუძვლიანს ხდის „ალკმაარის" პრობლემები დაცვაში. კო ადრიანსეს ერთბაშად ოთხი წამყვანი უკანახაზელი ჰყავს დაშავებული — იან კრომკამპის, ტიმ დე კლერისა და ბარი ოპდამის თამაში საეჭვოა, ხოლო ჟორის მატიისენი ნამდვილად ვერ იბურთავებს.

მეტოქის დარად, გარკვეული დანაკლისი აქვს „ვილიარეალსაც". სტუმრები სავარაუდოდ სამ ფეხბურთელს — ხუან მანუელ პენას, კიკე ალვარესსა და ხავი ვენტას მოისაკლისებენ.

### პარმა – აუსტრია

იტალიელებმა გასულ უქმეებზე დომენიკო მორფეოს ორი ლამაზი გოლით სტუმრად სძლიეს „რეჯინას" (3:1) და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს, რის შედეგადაც „პარმამ" დროებით მაინც მოახერხა სერია A-ს გასავარდნი ზონიდან ამოსვლა და ახლა შეუძლია, უეფას თასს ცოტა მეტი ყურადღება დაუთმოს. თუმც გამორიცხული არ არის, პიეტრო კარმინიანიმ კვლავ ნახევარი ძალით სცადოს შემდეგ ეტაპზე გასვლა, რაც მისი სიტყვებიდანაც ჩანს: „აუსტრიასთან" პირველი მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზის შემდეგ საჭირო პრაქტიკა მივიღეთ, რამაც „რეჯინასთან" მოგვაგებინა კიდეც. ახლა იმედია, წარმატებას უეფას თასზეც მივაღწევთ".

მოგეხსენებათ, სტეფანო ბეტარინისა და მარკო მარკიონის სერიოზული ტრავმები აქვთ. მასპინძლები სავარაუდოდ ვერც ვინჩენცო გრელას დაიხმარენ. სტუმრები კი „ენიო ტარდინის" ნაოპერაციები ვლადიმირ იანოჩკოსა და დისკვალიფიცირებულ მეკარე ჯო დიდულიცას გარეშე ეწვივნენ.

### ოსერი – ცსკა

ფრანგებს ძალიან სერიოზული პრობლემები აქვთ. გუნდში ტრავმების ეპიდემია გრძელდება, რამაც განსაკუთრებით დაცვის ხაზი დაასუსტა. ერთი კვირის წინ, ცსკასთან განადგურების შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში, გი რუს გუნდმა კვლავ ოთხი გოლი მიიღო საკუთარ კარში, თანაც აუტსაიდერ „აიაჩოსგან".

მოსკოველები კი პირიქით, ახალდაწყებულ რუსეთის ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობენ. გასულ უქმეებზე მათ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით გაანადგურეს „კრილია სოვეტოვი" 5:0. ვალერი გაზაევის გუნდი მეტოქეს სერიოზული დანაკლისის გარეშე სტუმრობს.

მასპინძლებს იუნუს კაბული, რენე ბოლფი და სტეფან გრიხტინგი არ ეყოლებათ, ხოლო ბაკარი სანიას თამაში ძალიან საეჭვოა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, „ოსერის" ვეტერანი თავკაცი თავის შეგირდებს ამხნევებს და ბრძოლისკენ მოუწოდებს.

გი რუ: „ფეხბურთში მუდამ უნდა გწამდეს სასწაულის. ჩვენი შანსი თითქმის ნულის ტოლია, მაგრამ იმ 10 ათასზე მეტი ქომაგის, რომლებიც სტადიონზე მოვლენ, გაწბილება არ შეიძლება,. ჩვენ შევეცდებით, რაც შეიძლება, ბევრი გოლი გავიტანოთ და მოვიგოთ. დანარჩენს კი თამაში გვიჩვენებს".

**გიორგი ძაძამიძე**




**იტალიური** „სამპდორიას" მცველი ჯულიო ფალკონე ამ სეზონში ველარ ითამაშებს. მან გასულ უქმეებზე „კალიარისთან" მატჩისას მუხლი დაიშავა და მალე ოპერაციასაც გაუკეთებენ. პარალელურად, გენუელთა მმართველ რიკარდო გარონეს გუნდის მთავარი მწვრთნელის, ვალტერ ნოველინოს შენარჩუნება უნდა — მხარეები უახლოეს მომავალში მოლაპარაკებას დაიწყებენ.

**ინგლისური** „ჩელსის" წარმომადგენლების თქმით, გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებით დაინტერესებული არ არის, ხოლო პიტერ კინიონისა და რიო ფერდინანდის შეხვედრა უბრალო შემთხვევითობა იყო და არა მოლაპარაკება. „გვინდა კიდევ ერთხელ განვაცხადოთ საჯაროდ, რომ „მანჩესტერის" მოთამაშეების შეძენა ჩვენს გეგმებში არ შედის" — ნათქვამია ლონდონელთა ოფიციალურ პრესრელიზში.

**ფრანგული** და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, ლუსიენ ლორანი ორშაბათს, 97 წლის ასაკში გარდაიცვალა. მოგეხსენებათ, იგი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლის ავტორია. სულ ლორანს საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი აქვს ჩატარებული და ამდენივე გოლი გატანილი.

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დავიდე დი მიკელესთან განზრახი უხეშობისთვის, „რომას" მცველი ლეანდრო კუფრე ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. აქვე იმ მოთამაშეთა სიასაც გთავაზობთ, რომლებიც სერია A-ს მომდევნო ტურს გამოტოვებენ: მარკო ბრეშიანო (პარმა), ეუჯენიო კორინი (პალერმო), კრისტიან ამორუზო (ბოლონია), ბრუნო ჩირილო (სიენა), ივან კორდობა (ინტერი), მაურო მილანეტო (ბრეშა), კრისტიან ძენონი (სამპდორია), მაურიციო ძამპანა და სალვატორე არონიკა (მესინა).

**ბრაზილიური** „სანტოსის" უფროსობის თქმით, გუნდი სულ ცოტა, 2006 წლის მუნდიალამდე თავის ლიდერ რობინიოს არსად არ გაუშვებს. „ევროპაში თამაშის სხვანაირი სტილია და იქ ადაპტაციისთვის დიდი დროა საჭირო. ნაადრევმა ნაბიჯმა შესაძლოა, რობინიოს ეროვნულ ნაკრებში ადგილი დააკარგვინოს, რასაც ვერ დავუშვებთ. გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი ტრანსფერზეც შეიძლება ფიქრი" — თქვა კლუბის პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ.

**ინგლისური** „ლივერპულის" ნახევარმცველმა ვლადიმირ შმიცერმა აღნიშნა, რომ „ლანსში" დაბრუნებას არ აპირებს. „ფრანგები მართლაც შემეხმიანენ, მაგრამ მე არ მითქვამს, რომ მათ წინადადებას დავთანხმდი. ამჟამად კიდევ რამდენიმე შეთავაზება მაქვს. განსაკუთრებით კრაკოვის „ვისლა" აქტიურობს" — განაცხადა შმიცერმა.

**ნორვეგიის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა შესაძლოა, სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულოს. „გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. მუხლის ოპერაციის შემდეგ მწყობრში ვერაფრით ჩავდექი და თუ ასე გაგრძელდა, მწვრთნელობას უფრო მალე დავიწყებ, ვიდრე ვვარაუდობდი" — განაცხადა სოლსკიაერმა.

**იტალიურ** პრესაში გავრცელებული ჭორების თანახმად, ტურინის „იუვენტუსმა" მაინც მიაღწია საწადელს და „ლაციოს" ნახევარმცველ ჯულიანო ჯანიკედას მოელაპარაკა. როგორც ამბობენ, მხარეები მომავალ ზაფხულს სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე შეთანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ ჯანიკედა სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება.

**ფრანგული** „ბასტიას" ხელმძღვანელობამ გუნდის თავკაცი ფრანსუა ჩიკოლინი გაათავისუფლა და ახლა ახალი მწვრთნელის ძიებაშია. „კლუბში სასწრაფო ცვლილებებია საჭირო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გაგვიჭირდა, რადგანაც ჩიკოლინი ჩინებული ადამიანი და პერსპექტიული მწვრთნელია, იგი ისევ კლუბის საფეხბურთო აკადემიაში გააგრძელებს საქმიანობას" — თქვა კორსიკული კლუბის თავმჯდომარე ლუი მულტარიმ. გავრცელებული ბოლო ცნობით, „ბასტიას" სეზონის ბოლომდე ჩიკოლინის თანაშემწეები — მიშელ პადოვანი და ერიკ დიურანი გაწვრთნიან.

**ჩეხეთის** ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველ ტომაშ როსიცკის კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა, მისით მადრიდის „ატლეტიკო" დაინტერესდა. ამბობენ, ესპანელები ფეხბურთელში 6,5 მილიონ გირვანქას იხდიანო. საინტერესოა, რომ 1996 წელს, „ატლეტიკოში" ტომაშ როსიცკის უფროსი ძმა ირჟი ბურთაობდა.

**იტალიურმა** „ლაციომ" ტომაზო როკის კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდა. შეგახსენებთ, რომ როკი სანახევროდ „ემპოლის" საკუთრება იყო. დედაქალაქელებმა ტოსკანელებს 2,2 მილიონი ევრო ჩაუთვალეს.

**ფრანგული** „მარსელი" საცაა, ვენის „აუსტრიას" მცველ რაბიუ აფოლაბის შეიძენს. 24 წლის ნიგერიელი, რომელიც მიმდინარე სეზონს საკმაოდ შთამბეჭდავად ატარებს, სხვა კლუბების ყურადღების ცენტრშიც მოექცა, მაგრამ თავად მას ყველაზე მეტად სწორედ „მარსელში" გადასვლა ხიბლავს.

**ესპანური** „მალიორკას" თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მომავალ სეზონში სავარაუდოდ პოსტზე დარჩება. „სეგუნდადივიზიონში რომც გავვარდეთ, მაინც არ წავალ. ახალი კლუბი ერთად უნდა ავაშენოთ" — განაცხადა გამოცდილმა არგენტინელმა სპეციალისტმა.

# სამუელ ეტოო: რეალი ნურც იოცნებებს



*„ბარსელონას“ მთავარმეგოლე, კამერუნელი სამუელ ეტოო ახლა დაშავებულია, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“, გასულ კვირას მიღებულ ტრავმას იგი არ შეუშინებია და მოედანზე გასვლას უკვე პრიმერადივიზიონის მომავალ ტურში, მაღრიდული „ხეტაფეს“ წინააღმდეგ აპირებს.*

*მიუხედავად იმისა, რომ „რეალმა“ ეტოოს „ბარსელონა“ 4:2 დაამარცხა და ფრანკ რაიკარდის გუნდსაც ექვსი ქულით მიუახლოვდა, მეგოლე ამბობს, მადრიდელები ამ სეზონში ჩემპიონები ნამდვილად ვერ გახდებიანო.*

*რაღა ბევრი გავაგრძელოთ — ქვემოთ სამუელ ეტოოსთან იმ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც გუშინდელმა AS-მა დაბეჭდა*

**— თქვენი ტრავმის შემდეგ „ბარსას“ ექიმებმა თქვეს, სამუელ ეტოო ფეხბურთს სულ მცირე, 10 დღით გამოეთიშებაო, მაგრამ... მუხლი აღარ გაწუხებთ?**

— ამჟამად მუხლი ნაღდად არ მაწუხებს და სათამაშოდაც ყოველთვის მზად ვარ, თუმცა ექიმებმა მირჩიეს, უმჯობესი იქნებოდა, რიგიანად მორჩენისთვის დაგვეცადაო. ვერ ვითმენ, თამაში მწყურია.

**— მანამდე კი ალბათ, ძალიან შეშინდით. თქვენი რამდენიმე თანაგუნდელი ხომ ახლაც ლაზარეთშია...**

— მართლაც ძალიან შემეშინდა. როცა მუხლს ხელით შევეხე, საშინელი ტკივილი ვიგრძენი და წამსვე ის წარმოვიდგინე, რაც დანარჩენებს დაემართათ. შესანიშნავი ექიმები გვყავს. არ ვიცი, ექიმმა როდასმა რომელი წამლით მიმკურნალა, მაგრამ ფაქტია, დღეს ფეხი აღარ მტკივა და სათამაშოდ მზად ვარ.

**— „რეალთან“ მატჩზე ვისაუბროთ. იმსახურებდა „ბარსელონა“ წაგებას?**

— არავითარ შემთხვევაში. ეგაა, „რეალმა“ ამ დერბის მოსაგებად საკვდარ-სასიცოცხლოდ ითამა, თან ბედიც მათ მხარეს იყო. რა გასაკვირია, თუ წააგებდნენ, ჩემპიონობაზე ოცნებას იქვე გამოეთხოვებოდნენ. განა ბევრ მატჩში გვინახავს დაცვაში ჩასული რონალდო და ზიდანი? ჩვენ მადრიდელებზე არანაკლებ ძლიერად ვიბურთავეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა.

**— მაინც რა დაგაკლდათ ამ მატჩის მოსაგებად?**

— თავის ნებას მივცემ, შიდა პრობლემებზე მედიასთან ღიად არ ვისაუბრო. ახლა ყველაზე მეტად ერთიანობა გვმართებს და თუ „ბერნაბეუზე“ წაგებას გუნდის ცალკეულ რგოლს, მეკარეს დაცვა-ნახევარდაცვასა და თავდასხმას გადავაბრალებთ, ეს „ბარსას“ სასარგებლოდ ნაღდად არ იმოქმედებს.

**— რაც უნდა იყოს, დღეს „რეალის“ საჩემპიონო შანსებზე დაუფარავად ალაპარაკდნენ...**

— „ბარსელონა“ დაავიწყდათ? კი, ბატონო, ახლა მადრიდელთა ჩემპიონობაზე მართლა ყველა საუბრობს, მაგრამ გუნდი, რომელიც ნამდვილ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს და გულშემატკივარს ახარებს, მხოლოდ „ბარსელონაა“. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სულ ცოტა, 7:4 უნდა მოგვეგო. უამრავი საგოლე მომენტი გავაცუდეთ, პირადად მე სამჯერ შემეძლო გატანა...

**— ბოლო ორ მატჩში ვიქტორ ვალდესს მეტოქეებმა 7 გოლი გაუტანეს. იმ გუნდისგან, რომელიც ქვეყნის ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას, ვფიქრობ, ნამეტანია...**

— ბევრ გოლებს იმიტომ ვუშვებთ, რომ „ბარსა“ არასოდეს „იმალება“ და სულ შეტევაზე ფიქრობს. ჩვენთან, ბევრი სხვა გუნდისგან განსხვავებით, შეტევაზე და ინჩასთა სიხარულზე უფრო ზრუნავენ. გვინდა, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ და მომავალშიც ასე გავაკეთებთ. ახლა პრიმერაში შვიდი მატჩი დაგვრჩა, რომელთაც, მერწმუნეთ, მეტოქეებს ჯოჯოხეთად ვუქცევთ. „რეალი“ კი ფუჭ ოცნებებს შეუწუხებია.

**— ამბობენ, „ბარსა“ გადამწყვეტ მატჩებში სუსტად თამაშობსო. მაგალითებიც მოჰყავთ...**

— ტყუილია. გაიხსენეთ „დეპორტივოსთან“ შეხვედრა, როცა „რეალი“ ჩვენს წაგებას ელოდებოდა, ასე კი არ მოხდა. ჩემპიონატის პირველ წრეში „რეალთან“ და ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან“ უმნიშვნელოვანესი თამაშები ჩავატარეთ.

**— ახლა, რომელს უფრო რთული შეხვედრები დარჩა, „ბარსელონას“ თუ „რეალს“?**

— წინასწარ პროგნოზების თქმა ცუდია. პროგნოზებს და მარჩიელობას სჯობია, მოედანზე გავიდეთ და ჩვეული თამაში ვაჩვენოთ.



ალან სმიტს „ბარსელონას“ სკაუტებმა თვალი დაადგეს

# ზაფხულში თუ დავიჯერებთ

## სმიტი ბარსელონაში, დე ლა პენია მანჩესტერში

**კატალონიური** „ბარსელონა“ მომავალ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების ყიდვას ანუ შემადგენლობის გადახალისებას რომ აპირებს, უკვე ძველი ამბავია. გუნდის პრეზიდენტ ხუან ლაპორტას სასურველი მოთამაშეების გრძელი სია აქვს ჩამოწერილი, რომელსაც, ამ დღეებში კიდევ ერთი კანდიდატი, ალან სმიტი შეემატა.

მოგეხსენებათ, ახლა „ლიდსის“ ყოფილი ფორვარდი „მანჩესტერის“ სათადარიგოთა სკამზე ატარებს ძირითადად დროს და „კამპ ნოუდან“ წინადადების მიღების შემთხვევაში დიდი შანსია, თანხმობაც განაცხადოს.

ჭორების თანახმად, „ბარსელონა“ სმიტის სანაცვლოდ „მანჩესტერს“ ორ ფეხბურთელს შესთავაზებს, რომელთა საერთო ღირებულება 15 მილიონი ევრო იქნება. კატალონიელთა სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა „მანჩესტერის“ ფორვარდისადმი მისი კლუბის ინტერესი არც უარყო და არც დაადასტურა.

„ჩვენი სატრანსფერო პოლიტიკა პრესაში გავრცელებულ ჭორებზე არ არის აგებული და ყველაფერს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ. ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ნამდვილად ვფიქრობთ, მაგრამ ამჟამად ჩვენი მთავარი მიზანი პრიმერადივიზიონის მოგებაა“ — განმარტა ბეგირისტაინმა.

